

დანართი 3.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის საჯარო და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციების ანგარიში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, პარტნიორი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით შემუშავებული საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების განხილვისა და მოსაზრებების მიღების მიზნით, სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა 2 შეხვედრა (2020 წლის აგვისტოსა და 2022 წლის ოქტომბერში) დაინტერესებულ მხარეებთან და კაპიტალის ბაზრის რეგულირებულ სუბიექტებთან. დამატებით, 2022 წლის 3 ოქტომბერს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები განთავსდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე (economy.ge). ნებისმიერ დაინტერესებულ პირს 10 ოქტომბრის ჩათვლით შეეძლო შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართზე (ggurgenidze@moesd.gov.ge).

ორივე შეხვედრა გაიმართა დისტანციურად, ვიდეო კონფერენციის რეჟიმში, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით. პირველ შეხვედრას უძღვებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის უფროსი გიორგი გურგენიძე და აზიის განვითარების ბანკის ექსპერტი დევიდ ვაითი. მეორე შეხვედრას მოდერაციას უწევდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის უფროსი გიორგი გურგენიძე. შეხვედრებამდე, დაინტერესებულ მხარეებს ელ-ფოსტის საშუალებით ეგზავნებოდათ მოსაწვევი, კითხვარი, პრეზენტაცია, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები. პირველ შეხვედრას ესწრებოდა 58, ხოლო მეორე შეხვედრას 32 პირი როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორიდან და განვითარების პარტნიორთა ორგანიზაციებიდან.

განხილვების შედეგად, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტებთან დაკავშირებით მიღებული იქნა 20 რეკომენდაცია, რომელთაგან გათვალისწინებულია 12, ნაწილობრივ გათვალისწინებულია 6, არ არის გათვალისწინებული 2.

რეკომენდაციების გათვალისწინების კონსოლიდირებული ანგარიში

1. საქართველოს საფონდო ბირჟა - ბირჟის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა სახელმწიფო საწარმოების ჩართულობის მნიშვნელობას, კერძოდ სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ ნაბიჯებს სექტორის ინფორმირებისა და მზაობის შესახებ, რომ გარკვეული სახელმწიფო საწარმოები საფონდო ბირჟაზე საჯაროდ განთავსდნენ, რითაც ხელი შეეწყობა საფონდო ბირჟის განვითარებას და შესაბამისად კაპიტალის ბაზარს.

გათვალისწინებულია

შემოთავაზების შესაბამისად, სტრატეგიაში გაჩნდა ცალკე ამოცანა 1.3 - სახელმწიფო საწარმოების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე. აღნიშნული ამოცანა მიზნად ისახავს თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებას პირველ რიგში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებით სახელმწიფო საწარმოების კორპორატიზაციის მიმართულებით და სახელმწიფო საწარმოების ფლობის სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრით. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, შესაძლებელი იქნება იმ საწარმოების განსაზღვრა, რომლებიც შეძლებენ წარმატებული ემისიების განხორციელებას.

2. საქართველოს ბანკი - ბანკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სატრასტო ინსტრუმენტების დანერგვა და ე.წ. family office-ებისათვის ხელსაყრელი ჩარჩოს ჩამოყალიბება საქართველოში ხელს შეუწყობს დაგროვილი კაპიტალის და ე.წ. wealth management-ის ინდუსტრიის განვითარებას, რაც მოკლე ვადაში თავის მხრივ მოიზიდავს დამატებით კაპიტალს ეკონომიკაში, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში აისახება თაობათა შორის თანამედროვე და მოქნილი მემკვიდრეობის გადაცემის ინსტრუმენტებში.

გათვალისწინებულია

რეკომენდაციის შესაბამისად, სტრატეგიაში გაჩნდა შესაბამისი აქტივობა. კერძოდ, დაგროვილი კაპიტალის მართვის ჩარჩოს შექმნა ტრასტების დამკვიდრების გზით. აღნიშნულის განხორციელებისათვის არსებობს ორი მექანიზმი - პირველი ეს არის ჰააგის კონვენციასთან მიერთება, რაც გულისხმობს საქართველოში საერთო სამართლის ქვეყნებში დაფუძნებული ტრასტის ინსტრუმენტების აღიარებას ადგილობრივად, ხოლო მეორე შედარებით უფრო გრძელვადიანი დანერგვის მექანიზმა ტრასტის ინსტრუმენტისათვის შესაბამისი ნორმების ეროვნულ კანონმდებლობაში შემოტანა.

3. საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური - სამსახურის წარმომადგენლის მხრიდან ხაზი გაესვა სიცოცხლის დაზღვევის მნიშვნელობას და კერძო საპენსიო პროდუქტების დანერგვას. სიცოცხლის მიმართულებით იდენტიფიცირებული იყო ორი ძირითადი პრობლემა: 1) აქტუარული პროფესიის განვითარების დაბალი დონე და არამოქნილი საგადასახადო ჩარჩო. გარდა ამისა ხაზი გაესვა, რომ სიცოცხლის დაზღვევის განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი გახდება ლიკვიდური კაპიტალის ბაზრის არსებობა.

ნაწილობრივ გათვალისწინებულია
სტრატეგია ითვალისწინებს სიცოცხლის დაზღვევის ინსტრუმენტების, კერძო საპენსიო სქემების დანერგვას. ასევე დაგეგმილია ზოგადად საგადასახადო ჩარჩოს გადახედვა, კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების (მათ შორის გრძელვადიანი დანაზოგების) მიმართ ნეიტრალური ჩარჩოს განსაზღვრის მიზნით და ე.წ. Disability and Survivorship-ის პროდუქტის გაჩენა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება გააძლიერებს სადაზღვეო სექტორს.

4. გალტ ენდ თაგარტი - წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასარგებლო იქნებოდა სააქციო ბაზრის მოკვლევა/შეფასება. აღინიშნა, რომ ბაზარზე არსებობს პოტენციური ემიტენტების მიერ გამოშვებული სააქციო ფასიანი ქაღალდის ათვისების გარკვეული მზაობა და მოლოდინი, , მიუხედავად ამისა, ბაზრის მონაწილეებისათვის სასარგებლო იქნებოდა შეეფასებინათ პოტენციური ბაზრის ზომა.

გათვალისწინებულია
აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით განისაზღვრა ორი მნიშვნელოვანი აქტივობა, კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდების განვითარებისა და სააქციო ბაზრის მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვის მიმართულებით. მაგალითად, მეტი სააქციო ემისიისათვის მნიშვნელოვანია წახალისების პროგრამების დანერგვა და იმ კომპანიების ნაკადის შექმნა, რომლებიც აქამდე კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ვერ იქნებოდნენ დაინტერესებულები. კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდების განვითარებისათვის კი აუცილებელია და მიმდინარეობს ბაზრის ზომის კვლევა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება პოტენციური ბაზრის ზომის დადგენა და კაპიტალის შესაბამისი ალოკაცია.

5. გალტ ენდ თაგარტი - ხაზი გაესვა წარმომადგენლის მხრიდან კომერციული ბანკებისა და კაპიტალის ბაზრის ინტერესებს. კერძოდ მნიშვნელოვანია, რომ ბაზრის სტრუქტურაში სწორად იყოს შეფასებული კომერციული ბანკების როლი, რომელიც დაფინანსების მაძიებლებს მოქნილად აკმაყოფილებს დაკრედიტებით.

გათვალისწინებულია - აღნიშნულის საპასუხოდ და ზოგადად ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მეორე მიზნის პირველი ამოცანის აქტივობები რომელიც მოიცავს კონკურენტული შესაძლებლობების შესწავლას კაპიტალის ბაზარზე. შესაბამისად მნიშვნელოვანია კვლევის დონეზე დაიდენტიფიცირდეს კაპიტალის ბაზრის რეგულირებულ სუბიექტებსა და კომერციულ ბანკებს შორის კონკურენტული გარემოს როგორც ხელშემწყობი ასევე შემაფერხებელი ფაქტორები და განისაზღვროს ამგავარი გარემოსათვის ხელშემწყობი ინსტრუმენტის დანერგვის მექანიზმები. გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია, რომ საბანკო სექტორის და კაპიტალის ბაზრის კონკურენციის საკითხი საკმაოდ მაღალი ლეგიტიმაციით სარგებლობს სტრატეგიაში, კერძოდ გავლენის ინდიკატორი 2.1. - არასაბანკო საფინანსო სექტორის წილი საფინანსო სექტორის მთლიან აქტივებში, მიუთითებს არასაბანკო საფინანსო სექტორის მზარდ წილს საფინანსო სექტორის მთლიან აქტივებში. შესაბამისად ყველა ის ღონისძიება, რომელიც სტრატეგიის მეორე მიზნის მიღწევისაკენ არის მიმართული, ემსახურება არასაბანკო წილის ზრდას საფინანსო სექტორის მთლიან აქტივებში, რაც პირდაპირ კონკურენციის გაძლიერებას ემსახურება.

6. გალტ ენდ თაგარტი - წარმომადგენელმა აღნიშნა, კაპიტალის ბაზრის პოზიციონირების შესაძლებლობა და მნიშვნელობა. მაგალითად მთელს ჩვენს რეგიონში, ქვეყნები ერთი და იგივე პრობლემის წინაშე დგანან, რაც მცირე ბაზრის წარმოდგენს. შესაბამისად ასოცირების შეთანხმების გამოყენება და რეგიონულ ჰაბად პოზიციონირების შესაძლებლობა მნიშვნელოვანი იქნებოდა.

ნაწილობრივ გათვალისწინებულია - მართალია სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში აღნიშნული არ არის წარმოდგენილი, თუმცა 2021 წლის მანძილზე უკვე დაიწყო საქართველოს ფინანსურ ცენტრად მოკვლევაზე მუშაობა - კერძოდ Rothschild and Co-სა და Kaiser Partners-თან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შესწავლილ იქნება საქართველოს ფინანსურ ცენტრად პოზიციონირების შესაძლებლობა. საბოლოო რეკომენდაციებიდან გამომდინარე, კაპიტალის ბაზრის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ნაწილიც შესაბამისად განახლდება შემდგომში. რაც შეეხება შენიშვნის სულისკვეთებას, აღნიშნული პირდაპირ წარმოდგენილი არის სტრატეგიის მიზანში, რომელიც ამბობს, რომ 2028 წლისთვის საქართველოს კაპიტალის ბაზარი რეგიონში მოწინავე ბაზრად უნდა ჩამოყალიბდეს.

7. გალტ ენდ თაგარტი - წარმომადგენლის მიერ გაჟღერდა ფინანსური განათლების დაბალი დონე და შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებების მნიშვნელობა. აღნიშნული მიემართება როგორც ინვესტორებს, ასევე ემიტენტებს, რომლებისთვისაც კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების საშუალებით კაპიტალის მოზიდვა რთული და ახალია. განათლების დაბალი დონე ხელს უშლის მეტი

ემისიების მობილიზებას ბაზარზე და ვნებს ბაზრის ზუსტი პოტენციალის განსაზღვრას. შესაბამისად, ბაზარზე მხოლოდ განმეორებით ან დიდი კორპორაციების ემისიებია და არა ახალი მოთამაშეების.

გათვალისწინებულია - აღნიშნული მნიშვნელოვანი ფაქტორია და შესაბამისად სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია პირველი მიზნის მეორე ამოცანის აქტივობებში. აღნიშნული აქტივობები იმართული იქნება ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებზე ინფორმირებისა და ცნობადობის გაზრდისათვის. გარდა ამისა, დაგეგმილია აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება იმ მცირე და საშუალო კომპანიების ფინანსურ მხარდაჭერაზე, რომლებიც კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენებით იქნებიან დაინტერესებული.

8. ამერიკის სავაჭრო პალატა - წარმომადგენელმა მიუთითა შესაძლებლობაზე, რომ კაპიტალის ბაზრის განვითარებას დაეხმარებოდა კომერციული დავების მოგვარების ალტერნატიული სისტემა - სპეციალური პალატა. აღინიშნა, რომ 2019 წელს მიღებული ცვლილებები, რომლითაც ბაზრის მანიპულირება, ინსაიდერული ვაჭრობა დარეგულირდა და შემოვიდა გამჭვირვალობის ახალი სტანდარტები ძალზედ მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორთა დაცულობისათვის კიდევ იქნება გასატარებელი ზომები, მით უმეტეს უცხოელი ინვესტორებისათვის დავების მოგვარების მექანიზმის გაჩენა მნიშვნელოვანი იქნება, მით უფრო როდესაც საინვესტიციო ფონდების ახალი ჩარჩოთი, მეტად შესაძლებელი გახდა პორტფელური ინვესტიციების განხორციელება.

ნაწილობრივ გათვალისწინებული - კაპიტალის ბაზრის განვითარების ამ ეტაპზე, როდესაც ბაზარი არ არის ლიკვიდური და გარიგებების რაოდენობა უმნიშვნელოა, არ არის მიზანშეწონილი სპეციალური პალატის ჩამოყალიბება. თუმცა განვითარების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია სასამართლო სექტორთან რეფორმების ირგვლივ მაქსიმალური კომუნიკაციის დამყარება, რომ სასამართლო ხელისუფლება ინფორმირებული იყოს იმ რეფორმების შესახებ, რომელიც ამჟამად ხორციელდება. რეფორმების ხასიათი ხშირად ძალზედ ტექნიკურია და ახლებურად აყალიბებს სამართლებრივ ურთიერთობებს, როგორც სამოქალაქოს და კერძო ნაწილში, ასევე ფინანსურ სექტორში. ამ მიმართულებით მეტი კომუნიკაციის განხორციელება არის დაგეგმილი საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარებით.

9. თიბისი კაპიტალი - ობლიგაციების ბაზრის განვითარებაზე საუბრისას, წარმომადგენელმა აღნიშნა რომ გათვალისწინებული უნდა იყოს სამოტივაციო სქემებიც, კერძოდ ის საგადასახადო შეღავათი, რომელსაც 2023 წლიდან ვადა გაუვა, საჭიროა, რომ გახანგრძლივდეს.

<p>ნაწილობრივ გათვალისწინებულია - ფინანსთა სამინისტრომ წარმომადგენლის მიხედვით, შეღავათის გახანგრძლივების საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს შეფასებას, თუ რა სარგებელი მოიტანა აღნიშნულმა შეღავათმა ბაზრის განვითარებაში და ამ გათვლების შესაბამისად იქნება სწორი გადაწყვეტილების მიღება. სამოქმედო გეგმაში შესაბამისად აღნიშნული საკითხის ანალიზი და ანალიზის შესაბამისი გადაწყვეტილების განხორციელება ჩაიწერა პირველი მიზნის პირველ ამოცანაში.</p>
<p>10. კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი - აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია საბანკო ინსტრუმენტებთან ერთად აქცენტი კეთდებოდეს წილობრივი ინსტრუმენტების განვითარებაზე.</p>
<p>გათვალისწინებულია - სტრატეგია და ლოგიკური ჩარჩო ზუსტად იგივე წონითა და მნიშვნელობით ითვალისწინებს სააქციო ბაზრის განვითარებას, რომელიც წარმოდგენილია პირველი მიზნის მეორე ამოცანად და შესაბამისად მოიცავს არაერთ გასატარებელ ღონისძიებას, რომელიც მიმართული იქნება სააქციო ბაზრის განვითარებაზე.</p>
<p>11. კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი - არასაბანკო ტერმინი არასწორია, რამდენადაც მოიცავს სხვა სუბიექტებს გარდა საბროკერო კომპანიების, საინვესტიციო და საპენსიო ფონდების, ხოლო გავლენის ინდიკატორის სწორებისას მნიშვნელოვანია მხოლოდ მათი გათვალისწინება.</p>
<p>გათვალისწინებულია - არასაბანკო ტერმინი ინფორმაციული და ზოგადი ხასიათის არის, რომელიც მარტივად მიუთითებს რომ საფინანსო სექტორიდან კომერციული ბანკების აქტივები არ უნდა იქნას გათვალისწინებული. უფრო დეტალურად თუ როგორ ანგარიშდება ინდიკატორი მოცემულია ინდიკატორების პასპორტში და ტერმინი მოიცავს იმ ყველა სუბიექტს, რომელზეც მითითება გაკეთდა და გამორიცხავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს და სხვა საფინანსო სექტორის ინსტიტუტებს, რომლებიც ინვესტიციების განხორციელებას არ ეწევიან. გარდა ამისა შემოთავაზებას დამატებულია სადაზღვეო კომპანიები, რადგანაც ისინი კერძო საპენსიო სქემებისა და სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების საშუალებით გრძელვადიანი ინვესტიორების სახით გვევლინებიან ბაზარზე და აუცილებელია მათი გათვალისწინებაც.</p>
<p>12. კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი - ორმაგი დალისტვის გამოყენებით ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარება. კერძოდ ჩარჩო რეჟიმის შექმნა, სადაც</p>
<p>გათვალისწინებულია - პირველი მიზნის მეორე ამოცანის ქვეშ - სააქციო ბაზრის განვითარება, დაემატა ე.წ. dual listing-ის მარეგულირებელი რეჟიმის შემოღება,</p>

<p>რომელმაც ასევე უნდა გაითვალისწინოს ემიტენტებისათვის სტიმულირების მექანიზმები.</p>
<p>13. კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი - წარმომადგენელმა მაგალითად მოიყვანა სამხრეთ კორეის მაგალითი, სადაც სავალდებულო არის გარკვეული კომპანიებისათვის, რომლებიც დიდ ზომას აღწევენ, განახორციელონ საჯარო შეთავაზება და ამგვარად მოხვდნენ ბირჟებზე. შემოთავაზებული იყო მსგავსი პრაქტიკის დანერგვა.</p>
<p>არ არის გათვალისწინებული - მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შემოთავაზება საინტერესოა, არ არის საკმარისი მტკიცებულებები ამ მომენტისათვის რომ ამგვარი ვალდებულებითი ნაწილი გაჩნდეს სამოქმედო გეგმაში, თუმცა შესაძლებელია მომდევნო სამოქმედო გეგმის გადამუშავების ფარგლებში აღნიშნული აქტივობის განხილვა.</p>
<p>14. კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი - გავლენის ინდიკატორი 1.3-ის მაჩვენებელი ზუსტად არ ასახავს ბაზარზე არსებულ სურათს და საჭიროებს სხვანაირ გადაანგარიშებას. რეალური მაჩვენებელი უფრო დაბალია ვიდრე 4.4%</p>
<p>არ არის გათვალისწინებული - აღნიშნული არ იქნა გათვალისწინებული რამდენადაც, ინდიკატორის დათვლა ეფუძნება და უნდა ეფუძნებოდეს ოფიციალურ წყაროს და იყოს ადვილად გადამოწმებადი. შესაბამისად კონკრეტული მეთოდოლოგიის გამოყენება, რომელიც არასამართლებრივად მოახდენს ერთი კლასისა და ტიპის აქციების განსხვავებულად დაანგარიშებას ვერ იქნება გამოყენებული განზოგადებულად სრული და ობიექტური სურათის შესაქმნელად. აღნიშნული პრობლემა წარმოადგენს ზოგადად არალიკვიდური ბაზრის პრობლემას, შესაბამისად მიზანშეწონილია ბაზრის მოწესრიგება ფუნდამენტურად და იმგვარად, რომ გამოთვლებიც ასახავდეს რეალურ სურათს.</p>
<p>15. თანაინვესტირების ფონდი - წარმომადგენლის მხრიდან ხაზი გაესვა, საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო მანდატის მნიშვნელობას კაპიტალის ბაზრის განვითარებაში, კერძოდ რაც უფრო მეტ და დივერსიფიცირებულ ინსტრუმენტებში შეძლებს სააგენტო ინვესტიციის განხორციელებას, მით უფრო დიდი იქნება სხვა არსებული ინვესტორების საინვესტიციო შესაძლებლობებიც დააფინანსონ კონკრეტული პროექტები.</p>
<p>გათვალისწინებულია - მეორე მიზნის პირველი ამოცანა იცნობს და აზუსტებს საპენსიო სააგენტოსათვის საინვესტიციო მანდატის გაფართოების საკითხს. კერძოდ, საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო მანდატის შეზღუდვები კანონის დონეზე არის გაწერილი და შესაბამისად ამ მანდატის გაფართოებას ჭირდება საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც აქტივობის სახით უკვე დაგეგმილია და შინაარსობრივად სააგენტოს საინვესტიციო სამსახურს მისცემს შესაძლებლობას</p>

ინვესტირება განახორციელოს უფრო დიდი ლიმიტით როგორც ცალკეულ ემისიებში, ასევე ერთი ემიტენტის მიმართ ჯამურ პოზიციებში.

16. საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო სამსახური - წარმომადგენლის მხრიდან, ხაზი გაესვა იმას, რომ მცირე ბაზრის პირობებში, მით უმეტეს სადაც კომერციული ბანკები დომინანტურ პოზიციაში არიან, რთულია კაპიტალის ბაზრის განვითარება, რადგან არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საკითხები საწარმოების დაფინანსების კუთხით. ამრიგად გასათვალისწინებელია კონკურენციის საკითხები.

ნაწილობრივ გათვალისწინებულია - საფინანსო სექტორში კონკურენციის გაძლიერება სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს, რომელიც წარმოდგენილია გავლენის ინდიკატორის სახით და არაერთი აქტივობით. მიუხედავად აღნიშნულისა, ყურადსაღებია, რომ საქართველოს ეკონომიკის დაფინანსება და საფინანსო სექტორის მდგრადობა დამოკიდებულია ძლიერ კომერციულ საბანკო სექტორზე, შესაბამისად რადიკალური ზომების განხორციელება კონკურენციის განვითარების მიმართულებით, რომელიც სისტემური კომერციული ბანკების მდგრადობისათვის შესაძლოა რისკის შემცველი აღმოჩნდეს არ არის მიზანშეწონილი. ამდენად სტრატეგიას კონკურენციის განვითარების მიმართულებით დაბალანსებული მიდგომა გააჩნია, რომელიც მეტწილად ეფუძნება კონკურენციის განვითარებას კაპიტალის ბაზრის განვითარების პოლიტიკის განხორციელებას და არასაბანკო ინსტიტუტების ჯამური აქტივების ზრდას.

17. საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო სამსახური - წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გამარტივებული პროცესების დანერგვა საჯარო ემისიების მიმართულებით. მაგალითად, თუ კომპანიას სასესხო ინსტრუმენტით სურს კაპიტალის მოზიდვა ობლიგაციის გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები და დრო ვერ გაუწევს სესხის გაცემის სიმარტივეს კონკურენციას. აღნიშნულით, შესაძლოა მეტი ემისია მოხდეს, შესაბამისად მოხდეს მეტად რისკიანი ინსტრუმენტების გამოჩენაც ბაზარზე, თუმცა აღნიშნული გარდაუვალია განვითარებისათვის. აგრეთვე პარალელურად მნიშვნელოვანია ინვესტორებთან და პოტენციურ ემიტენტებთან მუშაობა.

გათვალისწინებულია - პირველი მიზნის პირველი ამოცანის მესამე აქტივობა ობლიგაციის გამოშვების გამარტივებული პროცესის დანერგვას გულისხმობს, შესაბამისად ამ მიმართულებით გამოთქმული შენიშვნა გათვალისწინებულია. რაც შეეხება ემიტენტების და ინვესტორების მხარდაჭერას, აღნიშნული დაფარულია მეორე მიზნითა და პირველი მიზნის სხვადასხვა აქტივობებით. კერძოდ, პირველი მიზნის ქვეშ არაერთი აქტივობა არის, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალის ბაზრის

<p>ინსტრუმენტების გამოყენების წახალისებას სხვადასხვა ზომის საწარმოებში. მცირე საწარმოებისათვის აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენების სირთულეებთან დაკავშირებით, ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარება, რაც აგრეთვე გათვალისწინებულია.</p>
<p>18. გალტ ენდ თაგარტი - წარმომადგენლის მხრიდან ხაზი გაესვა კიდევ ერთხელ სახელმწიფო საწარმოების მნიშვნელობას კაპიტალის ბაზრის განვითარებაში და მოყვანილ იქნა სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები, თუ როგორ იქნა გამოყენებული პრივატიზების გეგმები კაპიტალის ბაზრის სტიმულირებისათვის.</p>
<p>გათვალისწინებულია - დაზუსტდა, რომ სახელმწიფო საწარმოების ჩართულობა კაპიტალის ბაზრის განვითარებაში საკმაოდ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სტრატეგიაში, რამდენადაც ის კონკრეტული ამოცანით და ამოცანის შედეგის ინდიკატორით არის წარმოდგენილი.</p>
<p>19. საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური - წარმომადგენლის მხრიდან ხაზი გაესვა, რომ სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების დანერგვას მეტი სამუშაო დაჭირდებოდა და შესაბამისად გადასახედი იქნებოდა შესრულების ვადა.</p>
<p>გათვალისწინებულია - აღნიშნული აქტივობის ვადა საქმოქმედო გეგმაში გახანგრძლივდა 1 წლით.</p>
<p>20. კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი - წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ე.წ. market maker-ების ბაზრის განვითარება განსაკუთრებით სააქციო ბაზარზე. აღნიშნული თავის მხრივ ლიკვიდობის მხარდამჭერი იქნება. ასევე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია კონცენტრაციის წესის დაბრუნება ბირჟაზე, რათა ყველა ვაჭრობის კონსოლიდირება მოხდეს ერთ ადგილას და ფასწარმოქმნა იყოს გამჭვირვალე.</p>
<p>ნაწილობრივ გათვალისწინებული - პირველი მიზნის პირველი ამოცანის ქვეშ კონცენტრაციის ლიმიტის გადახედვა იმ აქტივობას წარმოადგენს, რომელმაც უნდა დაფაროს აღნიშნული საკითხი ნაწილობრივ. თუმცა market maker-ის ინსტიტუტის დანერგვა სააქციო ბაზარზე, დღეს სირთულეს წარმოადგენს, რამდენადაც ბაზარი არ არის ლიკვიდური და არც ინვესტორები არიან მრავლად წარმოდგენილნი, ხოლო ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანი ხარჯები გაწევა ჭირდება. რაც შეეხება სასესხო ბაზარზე market maker-ის ინსტიტუტს, ამ მიმართლებით პირველადი დილერების პროგრამა, სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიით არის დაფარული.</p>

ზოგადი კომენტარი შეხვედრის მონაწილეებისაგან - შეხვედრის მონაწილეების მხრიდან სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებით გაჟღერდა არაერთი

კითხვა. დამსწრეებს ეცნობათ, რომ აღნიშნული სტრატეგია შემუშავდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების მიხედვით, შესაბამისად მისი ლეგიტიმაცია მაღალი იქნება. ამასთან, დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდება სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება, რაც მოგვცემს გამოწვევებსა და ხარვეზებზე რეაგირების შესაძლებლობას და გავლენის შეფასებას.

კონსულტაციაში მონაწილე ორგანიზაციათა სია

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. სსიპ საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური
5. სსიპ საპენსიო სააგენტო
6. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
7. აზიის განვითარების ბანკი
8. მსოფლიო ბანკი
9. ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი
10. შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
11. ინვესტორთა საბჭო
12. ამერიკის სავაჭრო პალატა
13. საქართველოს საფონდო ბირჟა
14. გალტ ენდ თაგარტი
15. თიბისი კაპიტალი
16. თანაინვესტირების ფონდი
17. იურიდიული კომპანია BLC
18. საქართველოს ბანკი
19. თიბისი ბანკი
20. სილქ როუდ ბანკი
21. კაუკასის კაპიტალ ჯგუფი
22. თიბისი ასეტ მენეჯმენტი
23. საბანკო ასოციაცია
24. ალფა კაპიტალ ედვაიზორი
25. ფიდელის ველს მენეჯმენტი
26. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი

27. საქართველოს რეგისტრატორი